საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერიაშვილი ვაჟა მიხეილის ძე

ერიაშვილი ვაჟა მიხეილის ძე (დ. 2. IX. 1939, თბილისი), ფარმაცევტი. ფარმაციის მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1995). 1966 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტის (თსსი) ფარმაციის ფაკ-ტი; 1966–68 მუშაობდა ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინ-ტში. 1968–78 – პერინატალური მედ. და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობებზე. ე-ის ხელმძღვანელობით ამავე ინ-ტში ჩამოყალიბდა ბიოფარმაციის – სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია, რ-იც 1989 გადაკეთდა ბიოფარმაციის სამედ. ცენტრად. პარალელურად, 1978–93, იყო თსსი-ის წამალთა ტექნოლ. კათედრის თანამშრომელი; 1997-იდან კი თსსი-ის სოც. და კლინ. ფარმაციის კათედრის, შემდეგ – დეპარტამენტის ხელმძღვანელი. არის საქართვ. სამედ.-სოც. მეცნ. აკად. წევრი (1998); ინტერკონტინენტური სამედ.-სოც. მეცნ. აკადემიის – OGASH (Organization gestosis affiliated and sponsored hospitals) საპატიო აკადემიკოსი (2006). ე-ს სამეცნ. მუშაობის ძირითადი სფეროა წამალთა ტექნოლოგია – ბიოფარმაცევტული, ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოდინამიკური გამოკვლევებით. არის სამეცნ. შრომების, მ. შ. 32 მეთოდური რეკომენდაციისა და 3 სახელმძღვანელოს ავტორი.

თხზ.: სოციალური ფარმაცია, თბ., 2001; ფარმაცევტული ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2006; ფარმაცევტული მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2009.